პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისი
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 78 (10472)

 კვირა, 1 აპრილი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. მ. მოლოტოვის საუბარი შვეიცის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერთან (1-ლი გვერდი).

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი მოსკოვში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და საბერძნეთის მეფემ პავლე I დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს (1-ლი გვერდი).

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებიდან. — ა. ბაჯელიძე. — სწავლობენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს (მე-2 გვერდი).

ო. გველესიანი. — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის (მე-2 გვერდი).

ა. ბეშიძე. — აღმოვფხვრათ ჩამორჩენა (მე-2 გვერდი).

ა. მირცხულავა. — კოსტა ხეთაგურავი (მე-3 გვერდი).

ს. არღუნელი, ს. ქოჩლაძე. — ვიდრე უმოძრაოდ, სანამ დაც სამშობლო მოგვიწოდებს (მე-3 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — მეტალურგთა ქალაქის კულტურული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, დავნერგოთ ახალი ტექნიკა

მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში კიდით-კიდემდე გაჩაღდა და თანდათან ძლიერდება საყოველთაო-სახალხო ბრძოლა პარტიის XX ყრილობის მიერ მეექვსე ხუთწლედისათვის დასახულ დიად სამშენაოთა პროგრამის შესასრულებლად. ქარხნებში, ფაბრიკებში, ახალშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში პატრიოტული ენთუზიაზმით შრომობენ ჩვენი ადამიანები, რათა განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესითა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულების, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოების მკვეთრი ზრდის აუცილებელი პირობაა განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი, მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, ადგილობრივი რეზერვების სრულად გამოყენება და ყოველივე ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამოვლინებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვი. ეს რეზერვია ამ ქარხნის კოოპერირება საზომ-საჭრელი ხელსაწყოებისა და სამაგრი დეტალების დამამზადებელ სპეციალიზებულ საწარმოსთან, რაც ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებლებს დიდძალ ლითონს, შრომას და თანხებს დაუზოგავს. სამაგრ დეტალებს (ქანჩი, ჭანჭიკი, ხრახნი და ა. შ.) ამ ქარხანაში ჯერაც პრიმიტიული წესით, ხელით ამზადებენ, რაც იწვევს ლითონის გადახარჯვას. ამავე დროს ეს სამაგრი დეტალები ხუთჯერ მეტი უჯდებათ, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასია. მაგალითად, ჭანჭიკების კომპლექტი (1 კილოგრამი) შარშან აქ დაუჯდათ საშუალოდ 8 მანეთი და 17 კაპ., როცა სახელმწიფო ფასად დაწესებულია 1 მან. და 85 კაპ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასეთი ჭანჭიკები რამდენიმე ასეული ტონის რაოდენობით სჭირდებათ ყოველწლიურად, გასაგები გახდება ამ რეზერვის გამოვლინების მნიშვნელობა როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ისე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მეექვსე ხუთწლედში, როგორც ცნობილია, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ახალი ტექნიკის გამოშვების გაფართოებას. მანქანათმშენებლობის მრეწველობამ მეექვსე ხუთწლედში თავისი პროდუქციის გამოშვება სულ ცოტა 80 პროცენტით უნდა გაადიდოს.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში დიდად პასუხსაგები ამოცანებია ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლების წინაშეც. მათ უნდა მოგვცენ სრულყოფილი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის დანადგარები, მეღვინეობაში საჭირო ტექნოლოგიურ ნაკადთა ხაზებისათვის ავტომატურ და ნახევრადავტომატურ მანქანათა კომპლექტები, აგრეთვე მექანიზმები, ჩაისა და აბრეშუმის მრეწველობაში გამოსაყენებელი მანქანები. საქართველოს მანქანათმშენებელთა ღირსების საქმეა იმის მიღწევა, რომ მთელ საბჭოთა კავშირში გაუთქვან სახელი ჩვენს რესპუბლიკაში გამოშვებულ ავტომანქანებს, სამთო ექსკავატორებს, ახალი მარკის ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, სამახტე მოწყობილობას, მრავალი სხვა სახელწოდების ხელსაწყოს, მანქანა-დანადგარს და მოწყობილობას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების ამოცანა მოითხოვს, რომ უზრუნველვყოთ წარმოების ყოველი ნოვატორის, სოციალისტური შეჯიბრების ყოველი მონაწილის მიერ მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ღირსეული წვლილის შეტანა, ფართო გასაქანი მივცეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, გზა გავუხსნათ რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს, მივაწყოთ საქმე ისე, რომ მათი ყოველი სასარგებლო წინადადება ხორციელდებოდეს სწრაფად.

მასების შემოქმედებითი ინიციატივა ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებისა და ტექნიკური პროგრესის უშრეტი წყაროა. ახალი ტექნიკა მოითხოვს მუშაობის ახალ მეთოდებს, შრომისა და წარმოების ახლებურად ორგანიზაციას, ხელმძღვანელთა მხრივ მეტი მოქნილობისა და ოპერატიულობის უნარის გამოჩენას. ზოგი სამეურნეო ხელმძღვანელი ყველა ამ „დავიდარაბის“ თავიდან ასაცილებლად ახალი ტექნიკის დანერგვაში ნეიტრალიზმს იჩენს, ახალი ტექნიკის გამოყენების საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

მაგალითად, ტყიბულელი მახტმშენებლები, რომლებიც აღჭურვილი არიან საუკეთესო ტექნიკით, ვერ იყენებენ ამ ტექნიკას. უცდეზათ ქანსატვირთავი მექანიზმები, სრული დატვირთვით ვერ ამუშავებენ პერფორატორებს და ყოველივე ამის შედეგად სამთო გამონამუშევართა გაყვანაში ჩამორჩებიან. განა არ შეუძლიათ ტყიბულელ მახტმშენებელთა ხელმძღვანელებს, პირადად ამხ. ა. შონიას და სხვებს მოაწესრიგონ საკომპრესორო დანადგარის მოქმედება, კუმშაერით უზრუნველყონ პერფორატორების მუშაობა, წესრიგზე მოიყვანონ მიწისქვეშა ელექტრომკვებავი ქსელი, რათა ქანსატვირთავი მექანიზმები არ გაცდნენ, ჯალამბრების გამართვით მოახდინონ ვაგონების მიწოდება-გამოგორება სანგრევებიდან და ამით. უზრუნველყონ მახტმშენებელთა შეუფერებელი მუშაობა.

ტყიბულში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის შეუფასებლობას მოწმობს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: შარშან სამთო უბნის მექანიკოსმა ამხ. კ. ბახტაძემ მოაწყო თვითმავალი მანქანა „სამახტო ვაგონების გაგორების მექანიზაციისათვის. ეს მანქანა წარმატებით მუშაობდა, მრავალი ვამგორებელი შეცვალა, მაგრამ გადაიწვა თუ არა თვითმავალი მანქანის მოტორი, იგი სადღაც ჩიხში დააყენეს და მისი გამოყენების საჭიროება მიივიწყეს. ახალი ტექნიკის შეუფასებლობის ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე სხვა მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ახალი ტექნიკის დანერგვა, ტექნიკური პროგრესის განვითარება მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულების მტკიცე საწინდარია. სამინისტროების, ტრესტების, სადარგო გაერთიანებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყველა ღონისძიებით შეუწყონ ხელი ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი მოსკოვში

შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მისი თანმხლები პირები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 30 მარტს ეცნობოდნენ მოსკოვის კრემლის ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს. მათ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი და ბინა კრემლში. ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტის დათვალიერების შემდეგ ტ. ერლანდერმა ასეთი ჩანაწერი გაკეთა შთაბეჭდილების წიგნში:

„ყველაფრიდან, რაც ჩვენ ვნახეთ მოსკოვში ვიზიტის დროს, ამ ისტორიული ბინის ნახვამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

შვედმა სტუმრებმა დათვალიერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზი, ხოლო შემდეგ მიძღვნებისა და მთავარანგელოზის ტაძრები, გაეცნენ საჭურვლის პალატის კოლექციებს. ტ. ერლანდერს ძიართვეს მეცნიერული შრომა, რომელშიც აღწერილია საჭურვლის პალატის ექსპონატები. მიიღო რა საჩუქარი, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მუზეუმში თავმოყრილი კოლექციები ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში.

მოსკოვის კრემლის დათვალიერების დროს შვეიცის პრემიერ-მინისტრს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლჩანოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი. პრემიერ-მინისტრთან ერთად კრემლი დათვალიერეს შვედმა ეკონომისტებმა.

საღამოს ტ. ერლანდერმა და მისმა მეუღლემ, შვეიცის შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ჰედლუნდმა და მისმა მეუღლემ, შვეიცის საგარეო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში რ. სულ

ამთავითვე შევქმნათ ყველა პირობა მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის

★ ★

აღმოვფხვრათ ჩამორჩენა

ამბროლაურის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყეს. რაიონში წელს სიმინდის ნათესი ფართობი 1955 წელთან შედარებით 600 ჰექტარით გადიდდება. დიდი ნაწილი დაითესება კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

სრულ კონდიციამდეა აყვანილი სოფლების მუხლის, სადმელის, ძირაგეულის, საკეციის, ზნაკვის, ჭრებალოს, კაჩაეთის, ველევის კოლმეურნეობების თესლი. მაგრამ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ არ იზრუნა თესლის კონდიციამდე აყვანისათვის. მაგალითად, ზედმეტი ტენიანობით დაზუნებულია სოფელ წესის კოლმეურნეობის 126 ცენტნერი, ამბროლაურის კოლმეურნეობის 40 ცენტნერი და გორისუბნის კოლმეურნეობის 28 ცენტნერი სიმინდის თესლი. უკონდიციოა შავრა-ნამანევის კოლმეურნეობის 6,6 ცენტნერი სიმინდისა და ხიდიკრის კოლმეურნეობის 5 ცენტნერი ფეტვის თესლი.

სოფელ ცახის კოლმეურნეობაში პირველი შემოწმების დროს ზედმეტი ტენიანობით დაზუნებულ იქნა 40 ცენტნერი სიმინდის თესლი. კოლმეურნეობამ მეორე შემოწმების დროს ლაბორატორიას წარუდგინა ამავე თესლის ნიმუში, რომელსაც აღმოცენების უნარი არ აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ ვითომდა ტენიანობის შემცირების მიზნით შ. კახიძეს ცხელ კოცებში მოხალული თესლის ნიმუში წარუდგენია ლაბორატორიისათვის. ასევე გააკეთეს 40 ცენტნერი ლობიოს ნიმუშზე შავრა-ნამანევის კოლმეურნეობაშიც. ამ მდგომარეობამ თესლის ხარისხის გაუარესება გამოიწვია.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საკოლმეურნეო მინდვრებში ორგანული სასუქის გატანა. გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი ტონის ნაცვლად 10 მარტისათვის გატანილი იყო 5.225 ტონა. ღვარდიის, ჭრებალოსა და ჩორჯოს კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ორგანული სასუქის გატანა.

მთელი სახნავი მიწებიდან რაიონში მხოლოდ 900 ჰექტარი მუშავდება ტრაქტორით, მუშა-პირუტყვის საშუალებით კი 4 ათას ჰექტარზე მეტი. ეს მდგომარეობა ავალებს კოლმეურნეობებს, რომ პირუტყვი ხვნის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე. მაგრამ ასე როდი მოიქცნენ ბუგეულის, ჩორჯოს, ჭრებალოსა და ლიხეთის კოლმეურნეობები. აქ საკვების სიმცირის გამო არც კი ფიქრობენ მუშა-პირუტყვის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანას.

* * *

ყველაფერი რიგზე როდია ონის რაიონის კოლმეურნეობებშიც. წელს უნდა დაითესოს 3.848 ჰექტარი სიმინდი. ნელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი. 925 გუთნიდან 14 მარტისათვის მხოლოდ 448 გუთანი იყო შეკეთებული. ჭიორის, გლოლის, უწერის, გადამშის, ქორთისა და გომის კოლმეურნეობებში რკინის უქონლობის გამო რემონტი არ დაწყებულა.

სახნავ-სათესი მიწები რაიონში თითქმის მთლიანად ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდება. მიუხედავად ამისა, მოედნის, შეუბნის, ნიგვზნარის, კვაშხიეთისა და სორის კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვი ჯერ კიდევ არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე.

კოლმეურნეობებში არც ორგანული სასუქის გატანას ჩქარობენ. გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი ტონა ორგანული სასუქის ნაცვლად გატანილია 25 ათასი. რაიონში უნდა შემოზიდონ 450 ტონა მინერალური სასუქი.

თესვის დღეები მოახლოდა. ამბროლაურის და ონის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ ჩამორჩენის დასაძლევად.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისის მექანიკური ქარხნის მოწინავე კომკავშირელი მდარავი გიორგი რუხაძე ერთ-ერთი პირველი ჩაება საპრიველმიანი სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებებს 280-300 პროცენტით ანაღდებს. იგი სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მექანიკის ფაკულტეტზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

მეჯი და მაღალი ხარისხის ავეჯი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში ფართო პოპულარობა მოიპოვა თბილისის მუსიკალური ავეჯის კომბინატის პროდუქციამ — საუკეთესო ხარისხისა და საუკეთესოდ მოპირკეთებულმა პიანინოებმა, საწოლმა გარნიტურებმა, წიგნის კარადებმა, სერვანტებმა. საწარმოს კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს.

წელს საწარმოს გეგმა შარშანდელთან შედარებით 16 პროცენტით არის გადიდებული. განსაკუთრებით გაიზარდა ძირითადი პროდუქციის — პიანინოების გამოშვების დავალება. კომბინატის კოლექტივი თავიდანვე მთელი მონდომებით და ენერგიით შეუდგა ბრძოლას საპატიო ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის და გადაჭარბებით გაანაღდა 2 თვის დავალება, აითვისა და გამოუშვა ახალი ტიპის საწოლი გარნიტური, გააუმჯობესა პიანინოების მხატვრული გაფორმება.

ამ დღეებში კომბინატის კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა — 27 მარტისათვის შეასრულა თვიური დავალება. განსაკუთრებით დაწინაურდა პიანინოების საამქრო, რომელმაც უკვე დიდი გადაჭარბებით გაანაღდა მარტის გეგმა. კომბინატის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ვადამდე შეასრულოს 4 თვის საწარმოო დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვას რაც შეიძლება მეტი საუკეთესო ხარისხის ავეჯი, პირნათლად შეხვდეს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, დაჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

კომუნიზმისათვის ბრძოლამ საბჭოთა ადამიანების მთელი საქმიანობა ავსო ახალი შინაარსით, გააკეთილშობილა ისინი, დაამკვიდრა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, რომლებიც გამსჭვალულია ადამიანისადმი ადამიანის პატივისცემით. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს შეთვისებული ეს წესები. ჯერ კიდევ ეხვდებით ისეთ მახინჯ ანტისოზოგადოებრივ მოვლენებს, როგორიც არის ლოთობა და ხულიგნობა, სახალხო ქონების გაფლანგვა-განიავება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

როგორც ფაქტები ადასტურებენ, ხულიგნობას, წესრიგის დარღვევას და სხვა მსგავს დანაშაულობებს მეტწილად ისეთი ადამიანები სჩადიან, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაურბიან, დროს ფუჭად ატარებენ, ლოთობას ეწევიან.

როგორც ცნობილია, ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე როგორც საზოგადოებრივი ქონებისა და საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დავალებული აქვს მილიციის ორგანოებს. ჩვენი რესპუბლიკის მილიციის ორგანოები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას ქურდობის, სპეკულაციის, ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რეციდივები.

ამ დანაშაულთა აღმოფხვრისათვის საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მეტად საგულისხმო ღონისძიებები ხორციელდება. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მილიციის ორგანოები ქალაქებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აწყობენ მუშა-მოსამსახურეთა კრებებს. კრებებზე ისმენენ მილიციის განყოფილებათა უფროსების მოხსენებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მოსახლეობის როლისა და ამოცანების შესახებ.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მოსახლეობის დარაზმვის კარგი გამოცდილება შეიძინეს თბილისის 26 კომისრის და ლენინის რაიონების პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აქ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია დაყენებული. ეს საკითხები ხშირად ხდება რაიკომის პლენუმებისა და პარტიული კრებების მსჯელობის საგნად. უბნებში იმართება პარტიული ორგანიზაციების მდივნების, კომკავშირული აქტივის, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეების, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების, სახლმმართველებისა და მილიციის ხელშემწყობი ბრიგადების თათბირები. კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა ჩამოაყალიბეს კომკავშირული შტაბები, საიდანაც უბნებში წესრიგის დაცვის მეთვალყურეობისათვის ყოველდღიურად ეგზავნებიან კომკავშირელი აქტივისტები. ამ ღონისძიებათა შედეგად აღნიშნული რაიონების ტერიტორიებზე საგრძნობლად შემცირდა დანაშაულობანი და წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა მილიციის ბევრმა განყოფილებამ. ახლა ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან საზოგადოებრიობას, აძლიერებენ ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოსახლეობაში. ამასთან ერთად მილიციის ორგანოები იყენებენ მუშაობის ისეთ ფორმას, როგორიც არის მოსახლეობის ინფორმაცია მომხდარი დანაშაულის შესახებ.

მილიციის მუშაკები ხშირად საუბრობენ მუშებთან და მოსამსახურეებთან. ამ საუბრის დროს მათგან იღებენ სიგნალებს. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ სწრაფად იხსნება ესა თუ ის დანაშაული.

თბილისში ერთხანს გახშირდა „ტაქსის“ მანქანის მძღოლების გაძარცვის შემთხვევები. ქალაქის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა საუბრები გამართეს მსუბუქი „ტაქსების“ მძღოლებთან. საუბრის დროს მძღოლების სიგნალებმა მილიციის მუშაკებს საშუალება მისცა სწრაფად შეეპყრათ 5 ბოროტმოქმედი.

ლექციებისა და საუბრების დროს მუშები და მოსამსახურეები სურვილს აცხადებენ ჩაეწერონ მილიციის ხელშემწყობ ბრიგადებში. განსაკუთრებით გაიზარდა აღნიშნული ბრიგადების რიცხვი თბილისში, ფოთში, რუსთავში, მარხაძის, ზესტაფონის, თერჯოლის და სხვა რაიონებში.

მილიციის ხელშემწყობი ბრიგადების წევრებმა ბევრი დანაშაულობა გამოამეღავნეს. მაგალითად, თბილისის მილიციის მე-16 განყოფილების ხელშემწყობი ბრიგადის წევრმა შ. ლოლაშვილმა აღმოაჩინა ფეხსაცმლის ფარული სახელოსნო. მამაცობა გამოიჩინა ხელშემწყობი ბრიგადის წევრმა ნ. სუმბათიანმა (მილიციის მე-11 განყოფილება). მან თავისი ინიციატივით შეიპყრო და მილიციის განყოფილებაში მიიყვანა სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი.

ტყიბულის რაიონის მილიციის ხელშემწყობი ბრიგადის წევრმა კომკავშირელმა ვ. ჯიხვაშვილმა მოხერხებულად შეიპყრო სამი მძარცველი და მილიციის განყოფილებაში წარადგინა.

ქ. ქუთაისის მილიციის დამხმარე ბრიგადის წევრმა ამხ. ზ. ჩაფიძემ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ტერიტორიაზე შენიშნა ორი ბოროტმოქმედი. ამხ. ჩაფიძემ დაუყოვნებლივ დაიკავა ისინი ნაქურდალი ნივთებით და მილიციის განყოფილებაში მიიყვანა.

სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის ენერგიულ ბრძოლას ეწევიან მახარაძის რაიონის მილიციის ხელშემწყობი ბრიგადები. მილიციის მუშაკები აქ ხშირად გამოდიან ლექციათ-მოხსენებით წესრიგის დაცვის საკითხებზე. გურიანთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სისტემატურად ხდებოდა ქურდობა, ხულიგნობა, წესრიგის დარღვევა. მოსახლეობის კრებაზე, სადაც მოხსენებიო გამოვიდა მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი ძიაფგილე ა. კონტრაძე, კოლმეურნეებმა სურვილი გამოთქვეს ჩაეწერიანენ მილიციის ხელშემწყობ ბრიგადაში. [illegible] ბრიგადამ მილიციის მუშაკებთან ერთად დაიწყო უბნების ღამით შემოვლა, დაიკავა წესრიგის დამრღვევები, შეიპყრო ვინმე მალაზონია, რომელიც ქურდობას ეწეოდა, მიაყენა უბანში სრული საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

ბევრი მოქალაქე გაერთიანებული არ არის მილიციის ხელშემწყობ ბრიგადებში, მაგრამ მათ თავიანთი მოვალეობად მიიჩნიეთ დაეხმარონ მილიციის ორგანოებს დანაშაულთა გამოშელავნებაში.

ამასწინათ ქ. ქუთაისში ქუჩაში მიმავალ მოქალაქე ი. ქაროსანიძეს მთვრალმა ზ. ფრუიძემ დანით მძიმე ჭრილობა მიაყენა და სცადა მიმალულიყო. ეს დაინახეს მოსწავლეებმა ვ. სვანიძემ, ო. ყორეოლიანმა, გ. მებუკემ, ა. ფხაკაძემ და ზ. მარგველაშვილმა. ისინი დაედევნენ ბოროტმოქმედს და ამავე დროს მოახდარი ფაქტის შესახებ აცნობეს მილიციის მუშაკს. ზ. ფრუიძე შეიპყრეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის კომკავშირელ ზ. ბილანიშვილის მოხერხებულობითა და დახმარებით მილიციის მუშაკებმა დაიკავეს ბოროტმოქმედი, რომელმაც გაძარცვის მიზნით ჯოხით მძიმედ დაიშავა მოქალაქე ზანდუკელი.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თვითეული მშრომელის საპატიო მოვალეობაა. საბჭოთა ადამიანების ღირსების საქმეა სამუშაო უბანზე პატიოსან შრომასთან ერთად ყოველნაირად შეუწყონ ხელი მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ცენტრალური კომიტეტის სანაგარიშო მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ მასების მონაწილეობის მიუღებლად, მარტო ადმინისტრაციული ღონისძიებებით შეუძლებელია ბოლო მოეღოს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებს. აქ დიდი როლი ეკუთვნის საზოგადოებას. უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა ადამიანები, რომლებიც არღვევენ ქცევის ნორმებს, საბჭოთა მორალის პრინციპებს, გრძნობდნენ თავიანთი საქციელის დაგმობას მთელი საზოგადოების მიერ.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითს მუშაობას. ამ საქმეში პროკურატურისა და მილიციის ორგანოებთან ერთად სერიოზული ამოცანები აკისრიათ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, თვითეული მშრომელი უნდა ზრუნავდეს მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგისათვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის.

ო. გველესიანი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორი რედაქციას სწერდა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. იმნაძის და მესაქონლეობის ფერმის გამგის ლ. ტუღუშის უკანონო მოქმედებათა შესახებ. კოლმეურნეობაში არღვევდნენ მოწათსარგებლობის კანონებს, კოლმეურნეებს ავანსებს არასწორად აძლევდნენ, იყო კოლმეურნეობის საშენი მასალების სესხად გაცემისა და კოლმეურნეთა არასწორი ავანსირებისათვის გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ა. მურვანიძეს და ლანჩხუთის ცხოველდამზადების პუნქტის გამგეს კ. ბარამიძეს. კოლმეურნეობის ფერმის გამგე ლ. ტუღუში მოიხსნა სამუშაოდან.

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებიდან

სწავლობენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამა.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული უდიდესი ამოცანების წარმატებით შესრულებას გადაწყვეტენ ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მათი თავდადებული, გმირული შრომა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მიერ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლას.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესწავლა თავიდანვე ორგანიზებულად დაიწყო თბილისის აბრეშუმ-საქაღალდე ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში. წრეში გაერთიანებული ოცივე მსმენელი ფაბრიკის ხელმძღვანელი მუშაკები — ეკონომისტები, ინჟინრები, საამქროს უფროსები არიან. ისინი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე დიდი ინტერესით შეუდგნენ პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას.

პოლიტიკური ეკონომიის ცოდნა აუცილებელია სამეურნეო მუშაკისათვის, ვინაიდან ეს კონკრეტული ეკონომიკის შესწავლის საფუძველია. წარმოების ეკონომიკის შესწავლაა, მისი საფუძვლიანი ცოდნის გარეშე კი შეუძლებელია წარმოების სწორად ხელმძღვანელობა. პარტიის XX ყრილობამ ხაზი გაუსვა ეკონომიური თეორიის, კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლაზე ადასტამ კიდევ უფრო გააქტივა წრის წევრები. ჩვენ უკვე მოვაწყეთ ხუთი მეცადინეობა საგზაფნო გეგმის მიხედვით. ამ გეგმით გათვალისწინებულია ყრილობის მასალებს დაეთმოს სულ 11-15 მეცადინეობა. წრის წევრებთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ ყრილობის მასალების შესწავლას მოვახმაროთ ყველა მეცადინეობა სასწავლო წლის დამთავრებამდე. ამითაც არ ვაპირებთ ამოვწუროთ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესწავლა, არამედ ყრილობის მასალებს შემდგომშიც ფართოდ გამოვიყენებთ პოლიტიკური ეკონომიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობის დროს.

მსმენელებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს პირველი თემა „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, რომელსაც სამი მეცადინეობა დაეთმო. აზრთა გაცვლელებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საკითხებმა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების თავისებურების შესახებ. მეორე თემაა „საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა“. ამ თემას უნდა დავუთმოთ 5 მეცადინეობა. ორი მეცადინეობა უკვე გვქონდა.

მეორე თემაზე მეცადინეობისას ფართოდ ვიყენებთ ჩვენი რესპუბლიკის და თვით აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებს. მართალია, საწარმოს საქმიანობის შესწავლა რთულია და დიდ დროსაც მოითხოვს, განსაკუთრებით ისეთი პროპაგანდისტისაგან, რომელიც ამ საწარმოში არ მუშაობს. მაგრამ უამისოდ შეუძლებელია მოიწყო შინაარსიანი, პრაქტიკასთან დაკავშირებული მეცადინეობა.

როცა პროპაგანდისტი ახალი მასალის ახსნის დროს იყენებს საწარმოს მაჩვენებლებს, ანალიზს უკეთებს საწარმოს საქმიანობას, ეს ზრდის მსმენელთა დაინტერესებას და უადვილებს მათ მოცემული თემის ღრმად შესწავლას. შემდეგ მეცადინეობაზე მსმენელები თვითონ აღნიშნავენ თავიანთ უბნებზე მოპოვებულ მიღწევებს, ააშკარავებენ საწარმოში არსებულ ნაკლოვანებებს.

მრეწველობის დარგში მეხუთე ხუთწლედის შედეგებისა და მეექვსე ხუთწლედის ამოცანების განხილვის დროს წრის მსმენელმა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ზვიადაძემ დაახასიათა ფაბრიკის მიღწევები მეხუთე ხუთწლედში. მან აღნიშნა, რომ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი საწარმოა. იგი მოსახლეობას აწვდის მრავალი სახის აბრეშუმის ქსოვილებს. ფაბრიკამ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 6.344 ათასი მეტრი ქსოვილები, ანუ 330,6 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულებულია მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

მეცადინეობის დროს ფაბრიკის ამოცანებზე მეექვსე ხუთწლედში ილაპარაკა საქსოვი წარმოების უფროსმა, ინჟინერმა ნ. ბახტაძემ. მან აღნიშნა, რომ ფაბრიკას მეხუთე ხუთწლედში დიდი მიღწევები ჰქონდა. მაგრამ მიღწეულთან ვერ დავკმაყოფილდებით. მეექვსე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში ორჯერ და უფრო მეტად უნდა გაიზარდოს აბრეშუმის ქსოვილების წარმოება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივსაც. მეექვსე ხუთწლედში ფაბრიკამ უნდა გამოუშვას დაახლოებით 1.625 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, ანუ 88 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში. ამ დავალების წარმატებით შესრულების მიზნით ფაბრიკის კოლექტივმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და იკისრა გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი. კერძოდ, ფაბრიკის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს 1956 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20 ათასი მეტრი აბრეშუმის ხამი ქსოვილი, 100 ათასი მანეთის მზა ქსოვილები, ხოლო მთლიანად 11 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, 1 პროცენტით გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი იმასთან შედარებით, რაც გეგმით არის გათვალისწინებული, მიიღოს 250 ათასი მანეთის ეკონომია ნედლეულის, სათბობის და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საფუძველზე, გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და 0,2 პროცენტით — დაზგა-დანადგარების წარმადობა, წარმოებაში დანერგოს მაღალი გემოვნებით გაფორმებული 100 სურათი და აითვისოს 8 ახალი სახის პროდუქციის წარმოება.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივის მიერ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის საჭიროა გამონახულ და გამოყენებულ იქნას ახალი რეზერვები, რომლებიც საწარმოში ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ ამ გამოუყენებელ საწარმოო რეზერვებზე, შრომის ნაყოფიერების გადიდების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე ილაპარაკეს ფაბრიკის საგეგმო-ეკონომიური განყოფილების გამგის მოადგილემ მ. ციციშვილმა, ეკონომისტებმა ე. სამსონიამ, ა. ქევანიშვილმა და ინჟინერმა ვ. თევდორაძემ. მათ აღნიშნეს, რომ პარტია დიდ ყურადღებას აქცევს შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდას. 1955 წელს საერთო პროდუქციის გამომუშავებაში ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,6 პროცენტით გაიზარდა, მიმდინარე წლის იანვარში — 2,7 პროცენტით, ხოლო თებერვალში — 2,1 პროცენტით. ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი როლი შეასრულა შრომის ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესებამ, მოწინავე გამოცდილებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვამ. ფაბრიკაში 1954-1955 წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები ახალი ტექნიკის შემოღებისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების დარგში. საქსოვ საამქროში დაიდგა 37 ახალი, გაუმჯობესებული დაზგა, გადაკეთდა 58 დაზგა. აღნიშნულმა ტექნიკურმა გაუმჯობესებებმა ფაბრიკის კოლექტივს საშუალება მისცა გაედიდებინა მოწყობილობის წარმადობა, გაეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი და აეთვისებინა ახალი სახის ქსოვილების წარმოება.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში მოწინავე გამოცდილებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის მნიშვნელობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ინჟინერმა ე. გრძელიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში ფაბრიკაში შემოვიდა 72 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან 37 დანერგილია წარმოებაში. ინჟინერების ი. გიორგობიანისა და ე. ზამთარაძის წინადადებათა განხორციელებამ ფაბრიკას 160 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. ქიმიკოსებმა ნ. ბერძენიშვილმა, რ. ბარნაბიშვილმა, ქ. ახობაძემ შეიმუშავეს ნატურალური აბრეშუმის გამოხარშვის ახალი მეთოდი, რომლის დანერგვით ფაბრიკამ 317 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო. შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი როლი შეასრულა ინჟინერების კოვალიოვისა და ბაშკაროვის მეთოდების დანერგვამ. ჩვენი ფაბრიკის მოწინავე მუშების ე. მეხრაძის, ნ. ჯოხაძის, ტ. კოპალეიშვილის, ე. ურტაძეშვილის და სხვათა გამოცდილების შესწავლამ და განზოგადებამ.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი იმ თანამეგობრობამ, შემოქმედებითმა კავშირმა, რომელიც დამყარებულია ფაბრიკასა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის. 1954 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის კათედრამ შეისწავლა ფაბრიკაში საწარმოო ფართობის უკეთ გამოყენების საკითხი. შემდეგში ამ საკითხზე მეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები პრაქტიკულად განხორციელებულ იქნა ფაბრიკაში. უნივერსიტეტის ლექტორების, ქიმიკოსების ვ. კოკაიშვილისა და კ. გამსახურდიას შემოქმედებითი დახმარების საფუძველზე ფაბრიკის კოლექტივმა საპნის ანალიზის ხანგრძლივობა შეამცირა 75 საათიდან 2 საათამდე, ხოლო დეჭსტრინის ანალიზის ხანგრძლივობა — 2 საათიდან 30 წუთამდე.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭირო იქნება კიდევ უფრო გავზარდოთ ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა, ხელი შევუწყოთ მოწინავე გამოცდილებისა და წინადადებათა ფართოდ დანერგვას წარმოებაში, გავაჩაღოთ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, გავზარდოთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულებისათვის.

მორიგი მეცადინეობა მიეძღვნება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საკითხს.

წრის ნორმალური მუშაობისათვის შექმნილია სათანადო პირობები. სამეცადინო ოთახში გვაქვს დაფა, რუკა, დიაგრამები. ბიბლიოთეკა მომარაგებულია სათანადო წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

წრის მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლი, ეს არის ის, რომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყავით წრის წევრთა უკლებლივ დასწრება მეცადინეობაზე. საჭიროა პარტიული კომიტეტი დაგვეხმაროს ამ ნაკლის გამოსწორებაში.

ა. ბაჯელიძე,
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

მეᲯᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მდიდარი და მრავალფეროვანია ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის ცხოვრების ყოველი დღე. მეტალურგებსა და ქალაქის სხვა მშრომელებს არა მარტო მაღალნაყოფიერი მუშაობის, არამედ კულტურული დასვენებისა და გართობის ყველა პირობა აქვთ. ქალაქში არის მეტალურგთა კულტურის სასახლე, კულტურისა და დასვენების პარკი, კულტურის სახლი, მშენებელთა კლუბი, საზაფხულო და საზამთრო კინოთეატრები, ორი კინოსტაციონარი ქალაქის განაპირა უბნებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუშათა და სასკოლო ბიბლიოთეკები...

რუსთავის შრომელთა კულტურული დასვენების საკითხებს ყურადღებით ეკიდება საქალაქო გაზეთი „მეტალურგიისათვის". ამას წინათ რედაქციამ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამსხმელო საამქროს მუშებს მიმართა შეკითხვით, თუ როგორ იყენებენ ისინი სამუშაოდან თავისუფალ დროს. მიღებულ პასუხებს გაზეთმა დაუთმო მთელი გვერდი საერთო სათაურით „სამუშაო დღის შემდეგ..."

„დაძაბული შემოქმედებითი შრომის შემდეგ მიყვარს დასვენება," — წერს საამქროს მეყანლიბე ა. მაისურაძე. — ამისათვის ჩვენს განკარგულებაშია თეატრი, კინო, თვითმოქმედი წრეები, ბიბლიოთეკა, სასპორტო სექციები... თავისუფალ დროს განსაკუთრებით მიყვარს წიგნის კითხვა. რამდენ ამოუცნობ საიდუმლოებას გაგიხსნის წიგნი!.. წიგნი გვინერგავს სიყვარულს მშვიდობისადმი და სიძულვილს ომისადმი... მიყვარს თეატრიც. არ ვაცდენ თითქმის არც ერთ ახალ დადგმას. თეატრიდან რომ შინ დავბრუნდებით, შევიკრიბებით ოჯახის წევრები და ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს, ვმსჯელობთ პიესაზე, მსახიობთა თამაშზე".

თავის წერილში „სწავლაშია ჩვენი ძალა" კონტროლიორი ე. ბაბეკაია მოგვითხრობს, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსზე. ამიტომ სამუშაოდან თავისუფალ დროს იგი უმთავრესად სწავლას ახმარს.

გვერდში დაბეჭდილია აგრეთვე საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის გ. თაქთაქიშვილის, ოსტატ ლ. ებრალიძის, ამწეს მემანქანის შ. ყრუაშვილისა და სხვათა წერილები. მათში ლაპარაკია მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოწყობილ ახალგაზრდობის საღამოებზე, მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებში, სასპორტო სექციებში მეცადინეობისას მიღებულ მდიდარ შთაბეჭდილებებზე.

არ შეიძლება ინდუსტრიული ქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრების მაჯისცემა არ შეიგრძნო თუნდაც ერთი საინტერესო წერილიდან, რომელიც გაზეთის საახალწლო ნომერში იყო გამოქვეყნებული.

„ჩვენი ახალგაზრდა ქალაქის ფოსტიდან განვლილ წელს ორ მილიონამდე გარათი ნაკიდა, 70.000 დეპეშა შემოფრინდა მის ხუთ განყოფილებაში, 10.000 კაცი ელაპარაკა შორეულ ქალაქებში მცხოვრებ ნათესავ-მეგობრებს, 7.000-მდე ამანათი გაიგზავნა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხანში შესულმა მეტალურგმა ფოსტის მუშაკს ჰკითხა: ურალში რომ ყურძენი გავგზავნო, ხომ არ გაფუჭდებაო. სასურველი პასუხით კმაყოფილმა ულვაშებზე გადაისვა ხელი და ამანათი გასაგზავნად ჩააბარა, საკარმიდამო ნაკვეთში მაქვს მოწეული საჯუთარი მარჯვენითო".

რუბრიკებით „თეატრი", „ახალი წიგნები", „ჩვენი კალენდარი" და სხვ. გაზეთში სისტემატურად იბეჭდება რეცენზიები თეატრალური თვითმოქმედი კოლექტივების ახალ დადგმებზე, ინფორმაციები და მიმოხილვები ახალი წიგნების შესახებ, წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და სხვ.

გაზეთი სისტემატურად აშუქებს ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის ავ-კარგს. ამ დაწესებულებათა მუშაობის დადებით მაჩვენებლებთან ერთად იგი ხშირად ბეჭდავს მამხილებელ წერილებსაც. გაზეთმა სამართლიანად გააკრიტიკა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. გაზეთმა მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლები, რომლებიც აპიანურებენ ქიმიკოსთა კლუბის მშენებლობას.

მოწონების ღირსია ის ფაქტი, რომ გაზეთი „მეტალურგიისათვის" რედაქცია ხელმძღვანელობს ქარხნის ლიტერატურულ წრეს. რედაქციაში ყოველკვირა ეწყობა ამ წრის მეცადინეობა, რომელსაც გაზეთის რედაქტორი ს. ახვლედიანი წარმართავს. გაზეთში ხშირად ვხვდებით ლიტერატურულ გვერდებსა და განყოფილებებს.

მოწინავე წერილში „მეტი დახმარება ახალგაზრდა ლიტერატორებს" გაზეთმა სამართლიანად მოითხოვა ქალაქის კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საქართველოს მწერალთა კავშირისაგან — მეტი დახმარება გაუწიონ მეტალურგთა ლიტერატურული წრის ახალგაზრდა შემოქმედთა.

ქალაქის კულტურული ცხოვრების გაუქმებაში გაზეთს ნაკლოვანებებიც აქვს. მის ფურცლებზე მკრთალად შუქდება ქალაქის განაპირა უბნების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. არ იბეჭდება რეცენზიები ახალ კინოფილმებზე, სხვა ქალაქებიდან რუსთავში საგასტროლოდ ჩასული თეატრების დადგმებზე.

ქალაქის კულტურული ცხოვრების მკაფიოდ, უფრო სრულყოფილად გაშუქებით, თავისი საქმიანი რჩევა-დარიგებითა და კრიტიკული გამოსვლებით გაზეთი ქმედითად უნდა ეხმარებოდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კულტურის ფრონტის ყველა მუშაკს ყრილობის მიერ დასახული ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად მთელი თავიანთი მუშაობის გარდაქმნაში.

კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით გაზეთი სისტემატურად უნდა უჩვენებდეს, თუ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით როგორ იცვლის სახეს ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი, რა გაკეთდება ამ მხრივ ქალაქში ახალი ხუთწლედის მანძილზე.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. **(საკ. კორ.).** პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ჭიათურელმა მაღაროელებმა კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს — 30 მარტს შეასრულეს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების პირველი კვარტალის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია.

მაღაროელები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ. **(საკ. კორ.).** ვედიდკარის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავეა პირველი ბრიგადა. მისმა წევრებმა აქტიურად გააჩაღეს შუშაობა მომდინარე წლის-უხვი მოსავლისათვის. 16 ჰექტარი ჩაის პლანტაცია კარგად არის დამუშავებული, მიმდინარეობს ბუჩქების გასხვლა. ამოსუფთავებულია სადრენაჟე ქსელის თხრილები, პლანტაცია დაცულია პირუტყვისაგან.

ბრიგადა ცდილობს წელს სამშობლოს მისცეს შარშანდელზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ

ბათუმის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურში წარმატებით დაიწყო საგაზაფხულო საინკუბატორო სეზონი. უკვე გამოჩეკილია 2 ათასი წიწილა, რომლებიც გადაეცათ ბათუმის რაიონის ვოროშილოვის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს.

წელს სადგური თეთრი რუსული ჯიშის წიწილებთან ერთად გამოჩეკს პეკინის ჯიშის იხვის ჭუჭულებს, ინდაურისა და ბატის ჭუკებს, სულ 83 ათას ფრთას — თითქმის 20 ათასით მეტს, ვიდრე შარშან.

ᲙᲝᲡᲢᲐ ᲮᲔᲗᲐ�გᲣᲠᲝᲕᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

50 წელი შესრულდა ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან. ამ თარიღს აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები, ვინაიდან კოსტა ხეთაგუროვი იყო საკაცობრიო იდეალების პოეტი, ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი. კოსტა ხეთაგუროვმა, როგორც წინათ დაჩაგრული ხალხების ბედის ქომაგმა და თავისუფლების უებრო მომღერალმა, უკვდავი სიყვარული დაიმკვიდრა ხალხთა გულში. ამიტომ არის, რომ კოსტა ხეთაგუროვის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა შედის კომუნიზმის მშენებელი ხალხების შემოქმედებითს საგანძურში.

კოსტა ხეთაგუროვი ილიასა და აკაკის მსგავსად ნამდვილი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტია. მისი შემოქმედება გამსჭვალულია რევოლუციური შეგნებით და თავისუფლებაზე ფიქრით. ყოველი მისი ლექსი თუ ლეგენდა ჟღერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივით.

როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკა იყო მცირე ეროვნებათა ჩაგვრისა და დაჩნების პოლიტიკა. ოსი ხალხიც ვერ ასცდა ამ მწარე ხვედრს. გმირი, რომელიც წინაღუდგა ამ ჩაგვრას და მედგრად მოუწოდებდა თავის ხალხს ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ, იყო კოსტა ხეთაგუროვი. თავის ლექსებში იგი გამოხატავდა მშობლიური ოსი ხალხის თავისუფალ აზრსა და მისწრაფებას, მის წყურვილს, მის დუხჭირ ცხოვრებას და ამავე დროს მის გულისწყრომას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

კოსტა ხეთაგუროვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თვითმპყრობელობისა და ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ოსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წლებში. ის მეთაურობდა ამ ბრძოლას. ამიტომ იყო, რომ მეფის მოხელეებსა და ოსეთის რეაქციულ წრეებს სასტიკად სძულდათ იგი, ყოველ ზომებს იღებდნენ, რომ სამშობლოსათვის მოეშორებინათ მებრძოლი პოეტი. კოსტა ხეთაგუროვს, ოსი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ერგო ისეთივე ხვედრი, როგორიც პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს, შევჩენკოს, ილიას და სხვებს. გმირი პოეტი სულიერად არ დაეცა, ხელიდან არ გაუშვა ბასრი იარაღი — მახვილი კალამი. ის თავიდანვე ოსი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშე იყო.

„დადგეს მშვიდობა განახლებულ
მთელ ქვეყანაში,
ზიზღით დაადგონ დანა, რომ სწვეთს
სისხლი ღვარული,
ო, ნუ მაყვედრით! ჩემმა ჩანგმაც ადიდოს
მაშინ
თანასწორობა, ლაღი ყოფა და სიყვარული".

ეს პოეტის დევიზი. ყოველ მის ლექსში, ყოველ სტრიქონში ისმის ცარიზმისა და ფეოდალური თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა, ბრძოლისაკენ მოწოდების ხმა:

„უმაწვილნო ოსეთისა, თქვენ ძმები
ხართ მხსნელი,
დღეს ერთმანეთს გავუწოდოთ მეგობრული
ხელი.
ზე ავწიოთ ჩვენი დროშა, ჩვენი ხალხის
დროშა,
შევკავშირდეთ, შევეტაკოთ ბნელ
უკუღმართ დროსა!"

კოსტა ხეთაგუროვი იყო წევრი კონსპირაციული რევოლუციური ჯგუფისა, რომელიც მაშინ სტავროპოლში არსებობდა. იგი, როგორც უსპეტაკესი პატრიოტი, მზად იყო მთელი სიცოცხლე და პოეტური ენერგია შეეწირა ხალხისათვის:

„არ მეშინია მე სიკვდილის. დიდიხანია
მიხმობს სამარე იდუმალი, ცივი და ბნელი,
მაინც სიცოცხლეს ვუფრთხილდები და
მიხარია,
რომ შევძლებ მივცე მე სამშობლოს
სიცოცხლე მთელი,
მე ბედნიერი არ ვყოფილვარ, მაგრამ
ჩემს პირად
თავისუფლებას, რასაც მე ვთვლი
ბედნიერებად,
ერთ ნაბიჯისთვის გავიმეტებ მე გასაწირად,
მიუახლოდეს ოლონდ ხალხი
თავისუფლებას".

კოსტა ხეთაგუროვი ვერ ურიგდებოდა ოსი ხალხის იმ უმწეო ცხოვრებასა და მდგომარეობას, ქოხმახების მწუხარებასა და კვნესას, სადაც მშიერი ბავშვების თვალთა მოსატყუებლად ქვაბში პურის მარცვლების ნაცვლად კენჭები იხარშებოდა. იგი ვერ ურიგდებოდა ხალხის დუხჭირ მდგომარეობას, მას სწამდა, რომ ყველაფერ ამას ბოლო მოეღებოდა:

„უკვე წუთები დათვლილია, განგაშიც
ისმის,
ხიშტის წვერებზე გარიჟრაჟის შუქი
ციალებს".



„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი
სალოცავად
მაქვს და მსოფლიო სამშობლოა,
სამშობლო ჩემი!"

კოსტა ხეთაგუროვი, როგორც პროგრესული და განათლებული მოაზროვნე პოეტი და მოქალაქე, აღზრდილი რევოლუციონერ-დემოკრატების ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, გერცენის იდეურ ტრადიციებზე, თავის ლექსებსა და პოემებში გამოხატავდა ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას ხალხთა მეგობრობის იდეისადმი, დიდი რუსი ხალხისადმი, მოძმე ქართველი ხალხისადმი:

„კავკასო, შენი ხალხთა ოჯახი
დასტირის მას, ვინც შენს ფიქრებს
ჰფლობდა,
ვინც მოკრძალებულ ქართველის სახით
ნერგავდა კეთილს და ბოროტს ჰგმობდა.
ბევრი კი იყო განა მასავით,
ქოხებში მბრწყინავ ცოდნის ვარსკვლავად,
რომ ვუვარებოდით მისებრ ძმასავით
და მტერთ შებმოდა ჩვენს დასაცავად.
არა! მაშ მხარეც იგი ლირსია
ახსოვდეს მარად შთამომავლობას,
ჩემო კავკასო! მაგ ტირილშიაც
ვხედავ მომავალს, შენს დიდ მყობადს".

ამას წერდა პოეტი ცნობილი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ ლექსის ქართული აწყარედული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1901 წელს. საერთოდ ცნობილია მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის მეგობრობა. ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ: მიხეილ ყიფიანი, მოღვაწეობდა თერგდალეულთა იმ პროგრესულ ჯგუფში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. მეფის მთავრობა, თვლიდა რა ამ ჯგუფის მოღვაწეობას თავისთვის საზიანოდ, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მოესპო ეს ჯგუფი. ყიფიანმა თავი შეაფარა ოსეთს, ქალაქ კავკავში მოეწყო სამუშაოდ, იგი იქ სიკვდილამდე დარჩა. ყიფიანი დაუახლოვდა ოსეთის ცხოვრებას. მიხეილ ყიფიანი ავტორია წიგნისა „ყაზბეგიდან იალბუზამდე", სადაც სხვათა შორის აღწერილია მაშინდელი ოსეთის დუხჭირი მდგომარეობა. აქ დაუმეგობრდა იგი კოსტა ხეთაგუროვსაც. და აი ეს მეგობრული გრძნობა გამოხატა პოეტმა ზემოთქმულ ლექსში, რომელშიც ჩანს ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარული. მიხეილ ყიფიანი კოსტა ხეთაგუროვისათვის იყო არა მარტო მეგობარი, არამედ იდეური თანამოაზრეც. უეჭველია, რომ ორი მოძმე ხალხის შვილების მეგობრობამ გააღრმავა ინტერესი და სიყვარული ქართველი ხალხის მოწინავე ლიტერატორების მოღვაწეობისადმი. საერთოდ, მაშინდელი ქართველი — [illegible] კოსტა ხეთაგუროვი კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. კარგად იცოდა ქართული ენაც. ის იცნობდა აკაკისა და იაზბეგის შემოქმედებას.

ერთხელ კოსტა ეკითხება თურმე ალექსანდრე იაზბეგს: — „როგორ ფიქრობ, სანდრო, ჩვენი ხალხი დაიღუპება და მეფე საბოლოოდ გაიმარჯვებს, თუ ხსნა მაინც გვაქვს?". ამაზე იაზბეგი უპასუხებს: — „არა, კოსტა, ხელმწიფე დაიღუპება, ჩვენი ქვეყანა აოსდგება, ჩვენი ბედი დაღუპული არ არის, ჩვენ დროებით დაგვაჩოქეს!" ასე ფიქრობდა თავიანთი სამშობლოს ბედზე რწმენით აღსავსე ორი დიდი მამულიშვილი.

კიდევ ერთი უტყუარი ცნობა კოსტა ხეთაგუროვისა და ქართველ მწერალთა ახლო ურთიერთობის შესახებ: როცა მძიმედ დაავადებული ალექსანდრე იაზბეგი წლების მანძილზე საავადმყოფოში იწვა და საშინელ გაჭირვებაში იმყოფებოდა, კოსტა ხეთაგუროვი მწვავედ განიცდიდა მეგობარი მწერლის უმწეო მდგომარეობას. ამის შესახებ მან გაზეთ „სევერნი კავკაზში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც სასტიკ პროტესტს აცხადებს ავადმყოფი მწერლისადმი არაადამიანური დამოკიდებულების გამო.

კოსტა ხეთაგუროვიც დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა ქართველ ხალხში. მაშინდელი საქართველო გულისტკივილით შეხვდა მოძმე ოსი ხალხის საყვარელი პოეტის გარდაცვალებას: „მუდმივი ხსოვნა შენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო კოსტა! შენი ხსოვნა არასოროს არ მოკვდება შენივე მშობელი ხალხის გულში, შენს მეგობარ ქართველებში, რომლებიც ხედავდნენ შენში ხალხის ბრწყინვალე მომავლისათვის თავდადებულ მოციქულს", — წერდა მაშინდელი პრესა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის სახელით, ქართველი ხალხის სახელით.

ქართველი ინტელიგენცია ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში იცნობდა კ. ხეთაგუროვის პოეზიას, ხშირად თარგმნიდნენ მის ლექსებს, ქართველ კომპოზიტორებს კი მუსიკაზე გადაჰქონდათ ისინი. მაგალითად, კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დასაწყისში შექმნა პირველი რომანსი კოსტა ხეთაგუროვის ლექსზე „მთიელი ქალის სიკვდილი". შემდეგში კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ხეთაგუროვის პოემა „ფატიმას" ნაწყვეტებზე. კიდევ დაწერა ორი რომანსი კოსტა ხეთაგუროვის ლექსებზე „მწყემსის სიმღერა" და „ჩავიდა მზე". დიმიტრი არაყიშვილს აზლო ურთიერთობა რომ ჰქონდა კოსტა ხეთაგუროვთან, ეს ჩანს მისი წერილიდან „სიტყვათა მუსიკა", რომელიც დაიწერა კომპოზიტორის ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად საქართველოსა და ოსეთში ხალხური სიმღერებისა და ფოლკლორის შეკრების მიზნით. ამ წერილში დიმიტრი არაყიშვილი იგონებს კოსტა ხეთაგუროვთან შეხვედრის ამბავს, მათს პირველ გაცნობას. აღსანიშნავია ისიც, რომ დიმიტრი არაყიშვილის მიერ „კოსტა ხეთაგუროვის ტექსტებზე დაწერილი პირველი რომანსები შესასრულა ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა.

მეფის ჯალათების მიერ განაწამები პოეტი ჭლექით გარდაიცვალა. მაგრამ მისი ლექსები სიკვდილს გადაურჩა. მათ ხალხის გულში ჰპოვეს ბინა და ჩვენამდე მოაღწიეს.

მოძმე ოსეთის საბჭოთა მწერლობა ღირსეულად განაგრძობს თავისი დიდი წინაპრის ნათელ გზას. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უფრო მახლობელი, თვალსაჩინო და ნაცნობი გახდა კოსტა ხეთაგუროვი ქართველი მკითხველისათვის. მისი ნაწარმოებები ითარგმნებოდა და ითარგმნება ქართულ ენაზე.

დღეს კოსტა ხეთაგუროვის სახელი ჩვენში ისე მშობლიურად გაისმის, როგორც ქართველი კლასიკოსების დიდებული სახელი. კოსტა ხეთაგუროვიც მუდამ დარჩება, როგორც ხალხთა მეგობრობის სიმბოლო.

ᲐᲚᲘᲝᲨ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ.

„ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ"

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა ჩაატარა დისკუსია თემაზე „რომანის პრობლემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში".

დისკუსია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა შ. რადიანმა. მოხსენება გააკეთა დ. ბენაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. დუდუჩავამ, ნ. ალანიამ, ჭ. ქღენტმა, დ. შენგელაიამ, რუსმა კრიტიკოსმა ა. პლოტკინმა, ა. ბარამიძემ და კ. გამსახურდიამ.

სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა ძირითადად გაიზიარეს მოხსენებაში დასმული მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოსაზრებები.

დისკუსიას მრავალ ღირსებასთან ერთად ჰქონდა სერიოზული ნაკლი. მომხსენებელმა და მოკამათეთა დიდმა უმრავლესობამ თავიანთ გამოსვლებში ცოტა ადგილი დაუთმეს მოწინავე საბჭოთა მწერლების რომანების განხილვას.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ამ დღეებში გაიმართა ჩვენი მაყურებლის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობის, სტალინური პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის მარიამ ბაუერის ბენეფისი.

ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია ამ საღამომ დედაქალაქის საზოგადოებრიობაში, ვინაიდან უკვე რამდენიმე ათეული წელია მ. ბაუერი დაუღალავად ემსახურება ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარების საქმეს. მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა თვალსაჩინო გამარჯვებებით არის აღსავსე.

მ. ბაუერის მიერ სხვადასხვა დროს დიდი წარმატებით შესრულებული პარტიები — ტაო-ხაო ბალეტში „წითელი ყაყაჩო", გულნარა „კორსარში", ზარემა „ბახჩისარაის შადრევანში", მეფის ასული „კუზიან კვიცში", ქუჩის მოცეკვავე „დონ-კიხოტში", ინდური ცეკვა — „გორდაში" და მრავალი სხვა — ხასიათდება მაღალი პროფესიული კულტურით, შესრულების საკუთარი სტილით, სინატიფითა და სიფაქიზით.

ქართული საბჭოთა ბალეტის ამ გამოჩენილი ოსტატის ყოველ გამოსვლას სცენაზე, მის ჩიეჩვეული ტემპერამენტითა და აქტიორული მგზნებარებით შესრულებულ ყოველ ცეკვას აღფრთოვანებით ხვდება მაყურებელი.

მ. ბაუერის დამსახურება საბალეტო ხელოვნებაში მისი სამსახიობო მოღვაწეობით როდი ამოიწურება. წლების მანძილზე იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ბალეტის მსახიობთა მთელი თაობა.

როცა უყურებთ ცეკვის ამ შესანიშნავ რსტატს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მას 30 წელზე მეტი გაუტარებია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. მ. ბაუერი ახალგაზრდული ენერგიით, მჩქეფარე ტემპერამენტით და მაღალი ოსტატობით ახლაც დიდ ინტერესს იწვევს მაყურებელში. ამის ნათელი დადასტურება იყო საბენეფისო საღამოზე ბენეფიციანტის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ცეკვები — ქუჩის მოცეკვავისა, უზბეკური ცეკვა „ლაზგი", ცეკვა „ჩაბანი" და მანდრუსის „ესპანური ცეკვა", რომელიც მან შეასრულა საბჭოთა ბალეტის სახელმოხვეჭილ ოსტატთან ვ. ჭაბუკიანთან ერთად.

Ბ. ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: , წინა პლანზე მარჯვნიდან — რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში ესაუბრებიან ყვარლის რაიონის სკოლების მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა ერთ ჯგუფს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲝᲓᲔᲑᲡ

თავიანთ მომავალ პროფესიაზე ფიქრით შეიკრიბნენ მეთერთმეტეკლასელები ყვარლის საერაონო კულტურის სახლში 30 მარტს. აქ ისინი მოგზდნენ რაიონის ყველა სკოლიდან, რათა შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, შეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებს, თავიანთი გულისნადები გაუზიარონ მათ და მათგანაც მოისმინონ სასარგებლო რჩევა-დარიგება.

მოსწავლეებს ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა, პოეტი იოსებ ნონეშვილი, ყვარლის რაიონის მკვიდრნი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე, რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ხარატაშვილი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ადამ ჩახტაური, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე თამარ ზახაშვილი, მეცნიერებათა კანდიდატები ილია ნატროშვილი, დავით ავაზაშვილი, იასკო რუსიაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადეები ვაჟა ზვიადაძე და რობერტ თედელეიშვილი, ახალგაზრდა პოეტები მედეა კახიძე, ილო ბეროშვილი და სხვ.

შეხვედრა გახსნა ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. კევლიშვილმა. მოხსენება ახალგაზრდობის სწავლისა და შრომითი საქმიანობის შესახებ გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ავაზაშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— პარტიის XX ყრილობამ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები დასახა. ამ ამოცანების განხორციელებაში დიდია ჩვენი ახალგაზრდობის როლი. ყვარლის რაიონში ცოტა როდია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საკოლმეურნეო შრომის ფრონტზეა ჩაება და თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში. ისინი უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ, ამასთან დაუსწრებლად იღებენ უმაღლეს განათლებას. ძვირფასო ახალგაზრდებო, თქვენ გელოდებათ ჩვენი დიდი ქვეყნის ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, კოლმეურნეობები, სახვნოთა მეურნეობები, მტს-ები. მოგიწოდებთ სიმშვიდის ატეტატით წახვიდეთ წარმოებაში და თქვენი წვლილი შეიტანოთ კომუნიზმის მშენებლობაშიც!

ტრიბუნაზეა ახალსოფლის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე მედეა ასისტაშვილი.

— ჩვენს ქვეყანაში, — ამბობს იგი, —ყველა პროფესია საამაყოა, რადგან შრომა სახელისა და ღირსების საქმეა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე სამუშაოდ წავიდე კოლმეურნეობაში და თან დაუსწრებლად ვისწავლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მოგიწოდებთ თქვენც მიბაძოთ ჩემს მაგალითს.

სიტყვას იღებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე კომკავშირელი ვაჟა ზვიადაძე.

— ვამაყობ, — ამბობს ვ. ზვიადაძე, — რომ მუშაობა მიხდება ისეთი სახელმოწვეჭილი მეფოლადეების გვერდით, როგორიც არიან ივანე მეტრეველი, შალვა კუბალეიშვილი, ზურაბ კვაბაძე, თარიმან ბარბაქაძე. ბრიგადა, რომელშიც მე ვმუშაობ, დაეუფლა ფოლადის ჩქაროსნული დნობის მეთოდებს. 8 საათის ნაცვლად ფოლადს 6 საათში და უფრო ადრეც ვადნობთ. ჩემო მეგობრებო, მოგიწოდებთ გახდეთ ქართული ფოლადის დნობის ოსტატი, რადგან მეფოლადეობა ჩვენს ქვეყანაში საპატიო და საამაყო პროფესიაა!

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ახალგაზრდები. ლაპარაკობენ ისინიც, ვინც უკვე აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, და ისინიც, ვინც ახლა ფიქრობს, თუ რა ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში, რით ასახელოს სამშობლო.

ახალგაზრდა მერგოლური ლუბა ყველაშვილი სოფელ ჭიკაანის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ცნობილია, როგორც სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი. მისმა რგოლმა შარშან 15 ჰექტარი სიმინდის თვითეულ ჰექტარზე

საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადება განიარაღების საკითხზე

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). აქაურ ჟურნალისტთა წრეებში მიღებული ცნობების მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე 27 მარტს სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ ქვეკომიტეტის განსახილველად შეიტანა საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადება განიარაღების საკითხზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ 1955 წლის 10 მაისს შეიტანა წინადადებანი განიარაღების საკითხზე, რომლებიც რეალურ საფუძველს ქმნიან ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. დასავლეთის სახელმწიფოები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებებს, არ დათანხმდნენ ატომური იარაღის აკრძალვასა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღებაზე. მრიგად, განიარაღების მთელი პრობლემა — რაგორც ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი, ისე შეიარაღების შემცირების საკითხი — დიდი ხნის მანძილზე ჩიხშია მომწყვდეული.

საბჭოთა თავრობა კვლავაც იმის მომხრეა, რომ საკვანძო და უთუოდ აიკრძალოს ატომგულის იარაღი და ამოღებულ იქნას იგი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან. მაგრამ იმისათვის, რომ განიარაღების მთელი საქმე დაიძრას მკვდარი წერტილიდან და ამ საკითხში მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა ახალი წინადადება, რომელშიც შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირების საკითხი განპირობებული არ არის შეთანხმების მიღწევით ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე. ეს იმის რიდი ნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევა. პირიქით, მას განზრახული აქვს ყოველი ღონისძიება განახორციელოს, რათა უახლოეს დროში დადებითად გადაიჭრას ეს პრობლემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

როგორც იუწყებიან, ახალი საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღების შესახებ. გათვალისწინებულია, რომ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეზღუდვის და შემცირების ღონისძიებანი განხორციელდეს 1956–1958 წლების განმავლობაში.

გათვალისწინებულია, რომ შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან პირველ სამ თვეში სახელმწიფოები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების 1955 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ დონესთან შედარებით და არ გაადიდონ თავიანთი ასოგნობანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებისათვის იმ ხარჯების დონესთან შედარებით, რომლებიც ამ მიზნისათვის გაწეული იყო წელიწადში, რომელიც დამთავრდა 1955 წლის 31 დეკემბერს.

იმავე წყაროების ცნობით, საბჭოთა წინადადებებში გათვალისწინებულია, რომ ზემოაღნიშნული სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი და ჩინეთი იწყებენ ღონისძიებათა განხორციელებას, რათა შეიარაღებული ძალები შეამცირონ 1 მილიონ — მილიონნახევარ კაცამდე, ხოლო დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი — 650 ათას კაცამდე. შესაბამისად ნაცვლდება ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება, აგრეთვე სახელმწიფოთა ასიგნობანი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისათვის.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ოდენობას, იგი განსაზღვრულ იქნება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო შემცირების მსოფლიო კონფერენციაზე. ამასთან აღნიშნულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დონე 150–200 ათას კაცზე მეტი არ იქნება.

ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად განთავისუფლებული სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა ხალხების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ისე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად, რისთვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ფონდი.

აღნიშნავენ, რომ საბჭოთა წინადადებებში ჩამოთვლილია ამ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლებები და რწმუნებები, რომელიც არსდება ეფექტიანი კონტროლის გასაწევად ამისადმი, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ვალდებულებებს, და რომელაც საამისოდ საკმაოდ ფართო უფლებები და რწმუნებები ექნება. სახელმწიფოზე მეორე სახელმწიფოს უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ყველა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაცვალგების საწყისებზე დაწესებს საკონტროლო პოსტებს დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე.

ახალი საბჭოთა წინადადებების მიხედვით, მეთვალყურეობის სისტემა ჯერონვად და ეფექტიანად იქნება გამოყენებული სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა თანხმობით იმ შეიარაღებული ძალებისა და საშუალებებისადმი, რომლებიც შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების განკარგულებაშია მათი საზღვრების ფარგლებს გარეთ.

საკონტროლო ორგანოს ყველა ქვეყანაში, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, მუდამ ეყოლება საკუთარი შტატი საერთაშორისო საფუძველზე შერჩეული ინსპექტორებისა, რომლებსაც კონტროლის თავიანთი ფუნქციების ფარგლებში ყოველთვის შეუფერხებლად დაუშვებენ ყველა საკონტროლო ობიექტზე. ამასთან კონტროლის ასეთი ობიექტები იქნება: ჯარის ნაწილები; სამხედრო საპურვლისა და სამხარი მასალების საწყობები; სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საპაერო ბაზები; ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და სამხარი მასალების ქარხნები.

აგრეთვე იუწყებიან, რომ საბჭოთა წინადადებანი ამასთანავე ითვალისწინებენ, რომ განიარაღების ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელების გარკვეულ სტადიაზე, როცა სახელმწიფოთა შორის ნდობა განმტკიცდება, დაინტერესებული ქვეყნები განიხილავენ აეროფოტოგადაღების, როგორც კონტროლის ერთ-ერთი მეთოდის, შესაძლო გამოყენების საკითხს.

წინადადებებში გარკვეულად არის განსაზღვრული საკონტროლო ორგანოს სხვა ფუნქციებიც. მას შეუფერხებლად დაუშვებენ მასალებთან, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა საბიუჯეტო ასიგნებებს სამხედრო საჭიროებისათვის, მათ შორის სახელმწიფოთა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებასთან ამ საკითხზე. იგი დაიარსება. თავის განყოფილებებს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა დედაქალაქებში. ამ განყოფილებათა ამოცანა იქნება ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოთა მთავრობის ორგანოებთან, საკონტროლო პოსტებისა და ინსპექტორთა მუშაობას ხელმძღვანელობა, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებენ, აგრეთვე სახელმწიფოების წარდგენილი ინფორმაციის ანალიზი.

აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანო რეკომენდაციას აძლევს უშიშროების საბჭოს თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შეთანხმების დამრღვევთა წინააღმდეგ. შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები წარუდგენენ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს, ამ ორგანოს შექმნიდან ერთი თვის ვადაში სრულ ოფიციალურ ცნობებს თავიანთი შეიარაღებული ძალების, ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და სამხედრო საჭიროებისათვის ხარჯების შესახებ.

ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საბჭოთა წინადადება, როგორც განიარაღების პრობლემის გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს, ითვალისწინებს იმას, რომ ევროპაში შეიქმნას შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონა, რომელშიც შევა გერმანიის ორივე ნაწილის, აგრეთვე მის მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიები. შესაბამისმა სახელმწიფოებმა შეთანხმებაში უნდა გათვალისწინონ ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმ ჯარების ზღვრული დონე, რომლებიც განლაგებულია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამ ზონაში. ასეთი დონის საკითხი უნდა განიხილონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა. შეთანხმებამ უნდა გათვალისწინოს, რომ აღნიშნულ ზონაში არ დაუშვან ატომური საბრძოლო შენაერთების და რაიმე სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის განლაგება. ზონაში შემავალ ტერიტორიებზე შეიარაღების შეზღუდვის ვალდებულებათა შესრულებისადმი წესდება ერთობლივი ინსპექცია შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მიმართ.

ჟურნალისტები ამასთან აღნიშნავენ, რომ საბჭოთა წინადადებაში გამოთქმულია იმედი, რომ სანამ მიღწეულ იქნებოდეს შეთანხმება ზონის საკითხზე, ოთხი სახელმწიფო, რომლებსაც თავიანთი ჯარები ჰყავთ გერმანიის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ განაზორციელებს ღონისძიებებს ამ ჯარების შესამცირებლად ისეთი ოდენობით, რომელსაც თვითეული ეს სახელმწიფო განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ.

ჟურნალისტთა წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოები. ნიუნდავად შეთანხმების მიღწევისა განიარაღების საკითხებზე, შეთანხმდნენ ამ დარგში ნაწილობრივ ღონისძიებათა განხორციელებაზე: თერმოატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე; იმის დაუშვებლობაზე, რომ ატომური იარაღით იყოს შეიარაღებული გერმანიის ტერიტორიაზე მყოფი ჯარები, ამასთან შესაბამისი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს სამი თვის ვადაში; სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 15-მდე პროცენტით შემცირებაზე წინა წლის სამხედრო ბიუჯეტებთან შედარებით.

როგორც აღნიშნავენ, საბჭოთა წინადადება შეიცავს შენიშვნას, რომ ჩინეთის იმ ვალდებულებათა საკითხი, რომლებიც გამომდინარეობენ შეთანხმებიდან ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით.

ა. ი. მიკოიანი ბირმაში

რანგუნი, 31 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ ინდოეთიდან ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი და მათი თანმხლები პირები.

რანგუნის მინგალადონის აეროდრომზე ა. ი. მიკოიანსა და შ. რ. რაშიდოვს შეხვდნენ ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი, ფინანსთა მინისტრი უ ტინი, ვაჭრობის განვითარების მინისტრი უ რაშიდი, მომარაგების მინისტრი ბო მინ გაუნგი, იუსტიციის მინისტრი უ კინ მაუნგ ლატი და სხვა ოფიციალური პირები, სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე რანგუნში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ბირმელი და უცხოელი ჟურნალისტები.

საბჭოთა თვითმფრინავი „ილ-14“ დაეშვა მინგალადონის აეროდრომზე. ამხანაგებს ა. ი. მიკოიანს, შ. რ. რაშიდოვსა და მათ თანმხლებ პირებს მიესალმნენ ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ბირმის მთავრობის მინისტრები და სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, ბირმელმა ქალიშვილებმა ა. ი. მიკოიანსა და შ. რ. რაშიდოვს მიართვეს ყვავილების გირლანდები და თაიგულები. შემდეგ ა. ი. მიკოიანმა ჩამოუთარა შესახვედრად ჩამოწკრივებულ საპატიო ყარაულს. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ბირმის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე დადგმულ მიკროფონთან უ ნუმ ბირმის მთავრობისა და ბირმელი ხალხის სახელით მისალმების სიტყვებით მიმართა სტუმრებს. ჩემთვის სასიამოვნოა, თქვა მან, რომ გარემოებამ საშუალება მისცა ა. ი. მიკოიანს ასე მალე გამოხმაურებოდა ჩემს მოპატიჟებას ბირმის კავშირში. უ ნუმ იმედი გამოთქვა, რომ მიკოიანი კმაყოფილი დარჩება ბირმაში ყოფნით.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა. მან თქვა:

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო! ბატონებო!

ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ასე შორს იყო ჩვენგან — მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდოდა როგორც ძვირფასი სტუმარი პატივცემული თქვენი პრემიერ-მინისტრი.

უ ნუმ დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ყველა საბჭოთა ადამიანისა, რომლებსაც იგი შეხვდა. სწორედ მან, როდესაც ჩვენს სამშობლოში იყო, საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ქვეყნების მჯიდრო მეგობრობას.

ჩვენი ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლამ ბირმის კავშირში, გულითადმა შეხვედრამ, რომელიც მათ მოუწყეს ბირმელმა ხალხმა და ბირმის მთავრობამ, განამტკიცა ეს მეგობრობა. საბჭოთა კავშირ-ბირმის ძმური მეგობრობა ახალგაზრდაა ასაკით, მას ნახევარი წელიწადიც არ შესრულებია, მაგრამ ეს უკვე მომწიფებული მეგობრობაა ორი ქვეყნისა, რომელთაგან თვითეული თავისი გზით ესწრაფვის თავისი ხალხების ბედნიერებას და იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთავრობის სახელით დიდი სალამი ვუძღვნა ბირმის კავშირის ხალხებსა და მთავრობას.

ამხანაგები მიკოიანი და რაშიდოვი და მათი თანმხლები პირები სხდებიან ავტომანქანებში და საპატიო ესკორტის თანხლებით მიემართებიან პრეზიდენტის რეზიდენციისაკენ, სადაც ისინი დარჩებიან ბირმაში ყოფნის დროს.

პირველი მატჩები

ბაქო. 31 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოსა“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ერევანი. 31 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს ერევნის ცენტრალურ სტადიონზე თამაშობდნენ სტალინოს „შახტიორისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲨᲐᲒᲐᲗᲘᲡ—ᲡᲐᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

გუშინ ეს მეოთხე შაბათი იყო, როცა ადრე გამოცოცხლდა დედაქალაქის ქუჩები — გამოცოცხლდა საწარმო-დაწესებულებ ებ ი დან დაძრული მუშა-მოსამსახურეთა ტალღებით. გუშინ ორი საათით ადრე დამთავრდა სამუშაო დღე — კვირის წინადღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ისტორიულმა, მარადსახსოვარმა ბრძანებულებამ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საწარმოებსა და დაწესებულებებში დასვენებისა და უქმეების წინა დღეებში მუშაობის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ უდიდესი გამხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მშრომელებში. ეს ბრძანებულება კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა ხალხისათვის. საბჭოთა ადამიანები ამ ზრუნვას უპასუხებენ მაღალი შრომითი და შემოქმედებითი წარმატებებით. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლით.

ხოლო შაბათი და კვირადღე პარტიისა და მთავრობის ზრუნვით გამთბარ ადამიანთა განსაკუთრებული სიხარულის დღეებია.

შაბათს ორი საათით ადრე გამოვიდნენ თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები თავიანთი საამქროებიდან და დაწესებულებებიდან. ჩვეულებრივ სამუშაო დღეზე ორი საათით ადრე მივიდნენ ისინი თავიანთ ოჯახებში. მათი დღე ახლებურად დაიგეგმა შაბათს — ზოგი კინოსა და თეატრში წასასვლელად ემზადება, ზოგი ოჯახურ საქმეებში ებმება. ბევრს ბაღი და ვენახიც აქვს — იქითკენ მიეშურება.

ეი სურათი ქვემოთ... კომბინატის ნათელი კორპუსები. მოასფალტებული ბილიკები მწვანეში ჩაფლულ ეზოში... ეს რამდენიმე წუთია საყვირის ხმა გაისმა. პირველი საათია. მოდიან სხვადასხვა საამქროებიდან ოსტატები და ქვეოსტატები, დისპეტჩერები და დურგლები... ამ სურათზე კომბინატის სხვადასხვა უბნებზე მომუშავე ამხანაგებს ვხედავთ. მაგრამ ისინი უფრო შეამხანაგა წარმოების გარეთ ერთნაირმა საქმიანობამ — მათ ბაღჩა-ბოსტნები აქვთ, ზოგს ვენახიც. ადრევე შეთანხმდნენ საამქროებიდან პირდაპირ ნაკვეთებისაკენ გაემართონ. იქ თავიანთი ოჯახები დახვდებათ — საგზლით, თოხით, ბარით, სახლავი მაკრატლებით — ხალისიანი შრომა გაჩაღდება სალამომდე. სურათზე, მარჯვნივ, პირველია კომბინატის ერთ-ერთი საამქროს ოსტატი, მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარე სერგო ქორიძე. მას მიჰყვებიან სხვა ამხანაგებიც.

დიდი სიხარულია საერთო საცხოვრებლებში. ახალგაზრდები ადრე მოვიდნენ თავიანთ გაკრიალებულ, მორთულ ოთახებში. აი ერთ-ერთი ოთახი. (სურათი ზემოთ) დობილები ტკბილად საუბრობენ. ზოგმა გაზეთის კითხვა დაიწყო. ერთს წინასწარ აღებული ბილეთები მოუტანია — თეატრში აპირებენ წასვლას. აქ არიან (მარცხნივ და მარჯვნივ) გრეხვის ინსტრუქტორი, კომკავშირული კომიტეტის ბიუროს წევრი ლუბა მელნიკოვა, მფთილავები ანია ბონდარენკო და ვალია გაგლოშვილი, მრთველი ანა ბორდაკოვა, მკსელავი გალინა ჩერნოვა, მკსოველი ვენერა მერაბიშვილი. მათი საცხოვრებელი სახლი — ნათელი, კარგად მოწყობილი ბინები — წარმოებასთან ახლოს, სულ რამდენიმე ათეულ ნაბიჯზეა. ნაყოფიერი შრომის შემდეგ ისინი კარგად ისვენებენ, ერთობიან. სწავლობენ...

ბედნიერება, კმაყოფილება, სიხარული სუფევს მჭსოველებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს საბჭოთა ხალხში.

ტექსტი ვლ. დემეტრაძისა,
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ამსტერდამი, 31 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). 29 მარტს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნატჩ-ტურნირზე გათამაშეს დაუმთავრებელი პარტიები. პილნიკი თამაშის განუახლებლად დანებდა ბანოს. გელერმა ადვილად გაანადგა თავისი უპირატესობა და გამარჯვება მოიპოვა პარტიაში პეტროსიანის წინააღმდეგ. კერეს-ბრონშტეინისა და პილნიკ-ფილიპის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გელერმა პარტიაში სმისლოვის წინააღმდეგ დროის გადაცილა და მას ჩაეთვალა წაგება.

ნატჩ-ტურნირის გუშინდელ მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იყო სმისლოვ-პეტროსიანისა და ბრონშტეინ-სპასკის შეხვედრები.

პეტროსიანმა, რომელიც შავებით თამაშობდა სმისლოვთან, თანდათან მიაღწია მნიშვნელოვან უპირატესობას. ნაგრამ შემდეგში იგი ვერ თამაშობდა დამაკმაყოფილებლად. გადადებულ პარტიაში პეტროსიანს ზედმეტი ხარისხი აქვს პიკში.

ბრონშტეინ-სპასკის პარტია, რომელიც ახალგაზრდა დიდოსტატის უპირატესობით მიმდინარეობდა, 35-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

სწრაფად დამთავრდა ფილიპ-ბანოს პარტია. უკვე მე-19 სვლაზე ფილიპმა გაიმარჯვა.

ამდენივე სვლა გაკეთდა პანო-გელერის შეხვედრაში. პარტია ყაიმით დამთავრდა.

კერესმა ნოუგო პილნიკს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ქალაქების სტადიონებზე დაიწყო მიმდინარე წლის ერთ-ერთი მასობრივი, მიმზიდველი და ტრადიციული ასპარეზობა — სსრ კავშირის 1956 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

ბუნებრივია პირველ რიგში საერთო ინტერესს იწვევს „ა“ კლასის გუნდების შეჯიბრება — ბრძოლა გარდამავალი წითელი დროშის, სსრ კავშირის ჩემპიონის სპორტო ნაგებობის. ოქროს მედლებისა და ჩემპიონის მაისურების მოსაპოვებლად.

„ა“ კლასში 12 უძლიერესი კოლექტივია, მათ შორის გასულ ჩემპიონატში მონაწილე 10 გუნდი. ესენი არიან — მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, ცდსა, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“, უკრაინის ორი გუნდი — კიევის „დინამო“ და სტალინოს „შახტიორი“, „ლენინგრადის „ზენიტი“, თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის მეორე გუნდი — „შრომითი რეზერვები“. გარდა ამ გუნდებისა „ა“ კლასში ვხედავთ ფეხბურთელთა ორ ახალ კოლექტივს — კიშინიოვის „ბურევესტნიკსა“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდს.

პირველობის გათამაშების დებულება შეიცავს ზოგიერთ სიახლეს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს თამაშის კლასის შემდგომ ამაღლებას, ახალგაზრდა ფეხბურთელთა დოსტატებას, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაძლიერებას, დისციპლინის განმტკიცებას, მსჯელობას.

გასული წლების მსგავსად თამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ორ წრედ. ქულათა ჩათვლის სისტემა დატოვებულია უცვლელად. დუბლიორთა კოლექტივების ასპარეზობა გაიმართება ძირითადი გუნდების შეჯიბრების წინ. ამასთან დუბლიორთა ყოველ მატჩში არანაკლებ შვიდი მოთამაშისა დაბადებული უნდა იყოს 1931 წლის შემდეგ.

არახელსაყრელი ამინდის გამო მატჩები კიევსა და სტალინოში, რაც დანიშნული იყო 1 აპრილისათვის, გადატანილ იქნა ბაქოსა და ერევანში. ეს შეხვედრები გაიმართა 31 მარტს. დღეს გაიმართება კიდევ ოთხი მატჩი. თბილისში ითამაშებენ „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი), ბაქოში — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდი, ოდესაში — ცდსა (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), კიშინიოვში — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი).

XVIII ჩემპიონატისათვის წინასწარ მზადებაზე მეტყველებს ის დიდი მუშაობა, რაც გუნდებმა გასწიეს ჯერ თავიანთ სახსპორტო ბაზებზე. შემდეგ შავიზღვისპირა ქალაქებსა და კურორტებზე — სოჭში, გაგრაში, გუდაუთაში, ხოსტაში, ბათუმში, ლესელიძეში, ადლერში.

სპორტის მოყვარულები ინტერესით მოელიან პირველ შეჯიბრებას თბილისში. შეხვედრა საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონთან — მოსკოვის „დინამოსთან“ დიდი და პასუხსაგები მატჩია ყოველი გუნდისათვის. ეს პასუხისმგებლობა გათამაშების კალენდარით პირველად წილად ხვდა თბილისის „დინამოს“, რომელიც ახალ სეზონს ზოგიერთი სიახლით ხვდება. ეს სიახლენი გამოიხატება სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაძლიერებით, ახალგაზრდა ფეხბურთელთა დოსტატებით, შემადგენლობათა გადახალისებით, ხელმძღვანელობის შეცვლით. თუ რამდენად ნაყოფიერი და სრულყოფილია ეს მუშაობა, ამას დაგვანახვებს არა მარტო პირველი მატჩების შედეგები, არამედ ბრძოლის შემდგომი ეტაპები.

მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების თამაშს ყოველთვის ახასიათებს მძაფრი და ტემპიანი ბრძოლა. თუ გადავავლებთ თვალს ჩემპიონატების ცხრილებში მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მატჩების შედეგებს, დედაქალაქის ფეხბურთელთა უპირატესობა ნათელი ხდება. 20 მოგება, 5 ფრე, 4 წაგება ბურთების საერთო შეფარდებით 75 : 37 — ასეთია მოსკოვის „დინამოს“ წარმატება 29 მატჩში.

დღეს იწყება „ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება. წელს გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 36 გუნდი, რომლებიც გაყოფილი არიან ორ ზონად. ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი გადაყვანილი იქნება „ბ“-დან „ა“ კლასში.

პირველ ზონაში არიან მინსკის, კალინინის, ვილნიუსის, სტანისლავის და უჟგოროდის „სპარტაკის“, კიევის, ლვოვისა და პეტროზავოდსკის ოფიცერთა სახლების, ივანოვოს „კრასნოე ზნამიას“, ქ. სტუპინოს გუნდი, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“. ხარკოვის „ავანგარდი“, დნეპროპეტროვსკის „მეტალურგი“, მოსკოვის ქვანახშირის აუზის „შახტიორი“, ოდესის „პიშჩევიკი“, რიგის „დაუგავა“, ტალინის „დინამო“, ტაგანროგის „ტორპედო“.

მეორე ზონაში ითამაშებენ — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, ერევნის „სპარტაკი“, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, გორკის „ტორპედო“, კრასნოდარის „ნეფტიანიკი“, ბაქოს „ნეფტიანიკი“, ქ. ვორონეჟის გუნდი, ალმა-ატის „უროჟაი“, ქ. მოლოტოვის გუნდი. ჩელიაბინსკის „ავანგარდი“, ტაშკენტის „პახტაკორი“, სტალინგრადის „ტორპედო“, აშხაბადის „კოლხოზჩი“, სტალინაბადის „კოლხოზჩი“, ფრუნზეს „სპარტაკი“, იჟევსკის „ზენიტი“, სვერდლოვსკის „ავანგარდი“, დონის როსტოვის „ტორპედო“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ № 3

გამოვიდა და ხელის მოწერლებს დაურიგდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 3.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. სტატიები: **ს. ინწკირველი** — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი პროგრამა; **ი. ქობალია** — საბჭოთა სახელმწიფო — კომუნიზმის აშენების ძირითადი იარაღი; **გ. ზარდალიშვილი** — სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება; **დ. ზავრიევი** — იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში დაბეჭდილია წერილები **კ. გოგლიძისა** — დავარაზმოთ მთელი ძალები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; **შ. ელისასშვილისა** — ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ახალი საწარმოო წარმატებებისათვის ბრძოლაში.

განყოფილებაში **პასუხი შეკითხვებზე** დაბეჭდილია: შეუძლია თუ არა პარტიულ ჯგუფს განიხილოს პარტიაში მიღების საკითხი? აუცილებელია თუ არა ბიუროს დადგენილება სასჯელის შესახებ განიხილოს პარტიულმა კრებამ? ჩინელი ახალგაზრდობის ორგანიზაცია კომუნისტური პარტიის რეზერვია.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ჟურნალებისა და გაზეთების მიმოხილვა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და პარტიული ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ᲓᲦᲔᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), დონ-კიხოტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ტარიელ გოლუა (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**—ოთელო (დილას), **სომხური დრამის**—ზვავი (დილას), ნამუსი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ლაღი ქარი (დილას), საყვარელი დისშვილი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთ სკოლაში (აბონემენტი № 5, 12 ს.), გიგორი (აბონემენტი № 7, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცისფერი და ვარდისფერი (11 ს. და 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ბალტი (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.).

ᲙᲘᲝᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ორი კაპიტანი, ამ